ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის ოქტომბრის 1.	№ 18	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შინაარსი:

მუხ. 189. თავდაცვისა და საავიაციო-საქიმიო მშენებლობის მეგობართა საკავშირო საზოგადოების მიერ მოწყობილ მანევრებში მონაწილე, ამ საზოგადოების წევრ-მუშათა და მოსამსახურეთა კომპენსაციის შესახებ.

„ 190. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების შესახებ.

„ 191. იმ თანამდებობის პირთა ნუსხის შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ შორეულ ადგილებში სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეთათვის მისაცემი შეღავათების თაობაზე“ 1927 წ. მაისის 11-ს თარიღით გამოცემული დადგენილებით გათვალისწინებული დამატებითი შეღავათები.

„ 192. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის გამონაკლისებისა და შეღავათების ნუსხის შეცვლის შესახებ.

„ 193. პირადი რეწაობის დაბეგვრისათვის სახელმწიფო სარეწავი გადასახადის მტკიცე განაკვეთების დაწესების შესახებ.

„ 194. იმ საქონლის ნუსხის შესახებ, რომლის ვაჭრობაც აკრძალულია სახელმწიფო სარეწავი გადასახადის მტკიცე განაკვეთების მიხედვით.

„ 195. დებულება ა/კ!ფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადდებელი კომისიის შესახებ.

„ 196. სსრკ-ის და ა/კსფსრ-ს მთავრობის მიერ 1928 წ. საშემოდგომო თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე გამოცემულ დადგენილებების განხორციელებისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევის შესახებ.

„ 197. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულების მე-4 მუხ. დამატების შესახებ.

„ 198. კავკასიის წითელდროშიანი არმიის მანევრებში მონაწილე, „რადიოს მეგობართა“ საზოგადოების წევრ-მუშათა და მოსამსახურეთა კომპენსაციის შესახებ.

„ 199. საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით კრედიტების დახურვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 200. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბ) და სრულიად საკავშირო ახალ-გაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ყრილობებსა, კონფერენციებსა და პლენუმებში მონაწილეობის მისაღებად არჩეული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სამუშაო საშოვარის შენარჩუნების შესახებ.

„ 201. ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1928-29 წელს საბჭოთა არჩევნების წარმოებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

„ 202. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის საბჭოს დებულების ახალი რედაქციის შესახებ.

„ 203. პერსონალური პენსიის შესახებ.

„ 204. ა/კსფსრ-ის კოოპერაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული ასიგნევების დასაბრუნებელ და დაუბრუნებელ ასიგნევებად განაწილების წესებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ცალკე რესპუბლიკებისათვის დასაბრუნებელი ასიგნევების გადაცემის ტეხნიკური წესის დამყარების შესახებ.

„ 205. დებულება ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარების შესახებ.

„ 206. ცეცხლის შემკეთებელთა აუცილებელი სწავლების შესახებ.

„ 207. დებულება ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

189. თავდაცვისა და საავიაციო-საქიმიო მშენებლობის მეგობართა საკავშირო საზოგადოების მიერ მოწყობილ მანევრებში მონაწილე ამ საზოგადოების წევრ-მუშათა და მოსამსახურეთა კომპენსაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

თავდაცვისა და საავიაციო საქიმიო მშენებლობის მეგობართა საკავშირო საზოგადოების მიერ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოწყობილ მანევრებში მონაწილე, ხსენებული საზოგადოების წევრ მუშათ და მოსამსახურეთ შეენარჩუროთ სამსახურის ადგილი და საშუალო სამუშაო საშოვარი მიმდინარე წლის აგვისტოს 28 დან დაწყებული, ვიდრე სექტემბრის 5-დე— ამრიცხვითურთ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. **შავერდოვი.**

1928 წ. სექტემბრის 4. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ეოსტოკა“-ს 205 №-ში 1928 წ. სექტემბრის 5-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 60 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

190. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განხორციელებულ იქნეს 1929 წლის იანვრის 1-დან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის სისტემა (მტკიცე თანამდებობრივი ჯამაგირების სისტემა).

2. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა განხორციელებულ იქნეს სამუშაო ხელფასის ფონდების იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულ იქნება 1928/29 წლის ბიუჯეტით, და იმ, ბიუჯეტგარეშე, მტკიცე წყაროების ფარგლებში, რომელთა ხარჯვაც სამუშაო ხელფასისათვის სპეციალური ხარჯაღრიცხვების მიხედვით ნება დართული იქნება.

3. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა განხორციელებულ უნდა იქნეს არსებული შტატების საფუძველზე და სასყიდლის ფაქტიური გაცემის მიხედვით, რაც განსაზღვრულია ან პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმების წესით, ან და არა ნაკლებ, ვიდრე უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში თვითეული თანამდებობისათვის ფაქტიურად გაცემული სასყიდლის მიხედვით; ამასთანავე, არ უნდა იქნეს შემცირებული ფაქტიური სამუშაო ხელფასი მოუშავეთა რამდენადმე თვალსაჩინო რიცხვისათვის.

4. მტკიცე შტატებისა და ჯამაგირების განსაზღვრა მოხდება შემდეგი წესით:

აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილება, სათანადო პროფესიონალურ კავშირთან ერთად, შეიმუშავებს, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ მინაჩენი თანამდებობათა ნომენკლატურის მიხედვით, ამა თუ იმ დაწესებულების საშტატო-საჯამაგირო ნუსხის პროექტს, რასაც შემდგომ განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტი შრომისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა, სამაზრო პროფესიონალური ბიუროს და სათანადო პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელთა აუცილებელი მონაწილეობით. აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული საშტატო-საჯამაგირო ნუსხა წარედგინება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს, რომელიც დაამტკიცებს მას ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებთან და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა 1. იმ მაზრაში, სადაც შრომის სახალხო კომისარიატის ორგანო არსებობს, საშტატო-საჯამაგირო ნუსხების დამზადება აღმასრულებელი კომიტეტისათვის ამ ორგანოს დაეკისრება; იქ-კი, სადაც შრომის სახალხო კომისარიატის ორგანო არ არსებობს, ამ ნუსხების დამზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიძლება დააკისროს ამა თუ იმ ორგანოს თავისი შეხედულებისამებრ

შენიშვნა 2. ცალკე შემთხვევაში მაზრის დაწესებულებებისათვის საშტატო-საჯამაგირო ნუსხის პროექტის წინასწარი შემუშავება შეუძლიან თვით სათანადო შრომის სახალხო კომისარიატს; ამასთანავე, აუცილებლად უნდა მიიწვიოს ამ საქმეში მონაწილეობისათვის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა და ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელნი პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დასახელებით.

შენიშვნა 3. ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის დაწესებულებათა საშტატო-საჯამაგირო ნუსხებს საბოლოოდ დაამტკიცებს ამ რესპუბლიკისა და ოლქის შრომის სახალხო კომისარიატი, სათანადო მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან და პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით.

4. თანამდებობრივი ჯამაგირრების გასაცემად საჭირო ხარჯების გარდა, სამუშაო ხელფასის კრედიტით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცალკე ის თანხები, რაც საჭიროა თანამდებობრივი ჯამაგირის პერსონალური ზედნართისა, ზედმეტი სამუშაოს სასყიდლისა და გამოსასვლელი დახმარების გასაცემად, აგრეთვე შვებულებაში წასული თანამშრომლების მენაცვლეთა და დროებით მომუშავეთა დასაქირავებლად, უწყების აუცილებელი ნამდვილი საამმიზნო მოთხოვნილების ფარგალში.

6. ამა დადგენილების მე-4 მუხლის წესისამებრ განსაზღვრული შტატებისა და ჯამაგირების შეცვლა ამა თუ იმ მიმართულებით დაწესებულების ადმინისტრაციას არ შეუძლიან დამოუკიდებელად და ყოველი ცვლილება საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეიძლება მარტოოდენ: შტატებისა—მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო ორგანოს ნებართვით, ხოლო ჯამაგირებისა—შრომის სახალხო კომისარიატის ნებართვით, ამა დადგენილების მე-2 მუხ. ფარგლებში.

7. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს ერთი კვირის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბომბინი.**

1928 წ. აგვისტოს 4. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 206 №-ში 1928 წ. სექტემბრის 6-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 121 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აგვისტოს 18.

191. **იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამატების შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ სსრკ ცენტალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ-ის შორეულ ადგილებში სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეთათვის მისაცემი შეღავათების თაობაზე“ 1927 წ. მაისის 11-ს თარიღით გამოცემული დადგენილებით გათვალისწინებული დამატებითი შეღავათები.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან და ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

მიღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სსრკ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს 1928 წ. ივლისის 24-ს თარიღისა და 424 №-ის დადგენილება „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამატების შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ-ის შორეულ ადგილებში სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეთათვის მისაცემი შეღავათების თაობაზე“ 1927 წ. მაისის 11-ს თარიღით გამოცემული დადგენილებით გათვალისწინებული დამატებითი შეღავათები“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

შეთანხმებულია: ა/კსფსრ მ/გ. ინსპ. სახ. კ-ტთან,
ა/კსფსრ ფინ. სახ. კ-ტთან და ა/კ.
პროფ. კავშირთა საბჭოსთან.

(შემოღებულია ა/კსფსრ-ში ა/კსფსრ შრომის სახ. კ-ტის 1927 წ. აგვისტოს 18-ს თარიღისა და მე-60 №-ის დადგენილებით.—„ა/კსფსრ შრ. ვესტნიკი“ 1927 წ. მე-16 №-რი, გვ. 1).

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 206 №-ში 1928 წ. სექტემბრის 6-ს.

დადგენილება № 61 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

192. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის გამონაკლისებისა და შელავათების ნუსხის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შელავათების ნუსხის მე-3 მუხლის 1-ლი შენიშვნის (სსრკ. ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს მიერ 1928 წ. აგვისტოს 10-ს დამტკიცებული სარეწავი გადასახადის დებულების მე-2 №-ის დანართი) თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ზემოაღნიშნული ნუსხის მე-3 მუხ. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული შელავათი არ იქნეს გავრცელებული ქვემოდ დასახელებული საქონლის ვაჭრობაზე:

1. ძვირფასი ქვები, ოქროს და პლატინის ნაკეთობა.
2. ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობა (წვრილ-წვრილი იაფფასიანი და ადგილობრივი შინამრეწველობის წარმოების ნაკეთობის გამოკლებით).
3. საანტიკვარო ნივთები.
4. ოპტიური, ფოტოგრაფიული, ქირურგიული, ფიზიკური და სხვ. ხელსაწყო, საკერავი და საქსოვი მანქანები.
5. ბეწვეული და ბეწვის ნაკეთობა, მათ შორის იხვისა და გედის ყუთოუკი.
6. მზა-ტანისამოსი და საცვალი, ნახმარის გარდა.
7. ყოველგვარი მატერია და ქსოვილი და მათი ნაკეთობა, ნახმარი საგნებისა და შინანაქსოვი მატერიების გარდა.
8. მაგარი სასმელები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბომბინი.**

1928 წ. სექტემბრის 3. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 207 №-ში 1928 წ. სექტემბრის 7.

დადგენილება № 62 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

193. პირადი რეწაობის დაბეგვრისათვის სახელმწიფო სარეწავი გადასახადის მტკიცე განაკვეთების დაწესების შესახებ.

სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. აგვისტოს 10-ს დამტკიცებული სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების მე-13 მუხ. თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე პირადი რეწაობის დასაბეგვრად დაწესებულ იქნეს სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შემდეგი მტკიცე განაკვეთები:

პირადი რეწაობის კატეგორია	განაკვეთი მანეთობით ადგილების კლასები				
	1	2	3	4	5
I	18	15	12	9	6
II	48	40	32	24	16
III	72	60	48	36	24

დაწესებულ იქნეს პირადი რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრისათვის ა/კსფსრ სხვადასხვა ადგილების კლასებად დანაწილების შემდეგი განაწერი:

I-ლი კლასი

ქ. ტფილისი და ქ. ბაქო, თეთრი და შავი ქალაქებით, ბაილოვით, სამრეწველო რაიონებით და გარეთუბნებით.

მე-II კლასი

ქ. ქ. ბათუმი, განჯა და ერივანი.

მე-III კლასი

ქ. ქ. ქუთაისი, ლენინაკანი, ფოთი და სოხუმი.

მე-IV კლასი

სხვა დანარჩენი ქალაქი ა/კსფსრ-ში.

მე-V კლასი

ყველა სოფელი ა/კსფსრ-ში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბომბინი.**

1928 წ. სექტემბრის 3. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 207 №-ში 1928 წ. სექტემბრის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 63 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

194. იმ საქონლის ნუსხის შესახებ, რომლის ვაჭრობაც აკრძალულია სახელმწიფო სარეწავი გადასახადის მტკიცე განაკვეთების მიხედვით.

გადასახად-დასადები პირადი რეწაობის განაწერის მე-5 შენიშვნის (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს მიერ 1928 წ. აგვისტოს 10-ს დამტკიცებული სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების 1-ლი №-ის დანართი) თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შესაძლებლად იქნეს ცნობილი პირადი რეწაობის სარეგისტრაციო მოწმობებით ყოველგვარი საქონლის ვაჭრობა, უკეთუ იგი სწარმოებს გადასახად-დასადები პირადი რეწაობის განაწერის მე-2, 7 და 15 პუნქტებით (სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების 1-ლი №-ის დანართი) გათვალისწინებულ პირობებში, ქვემოდ დასახელებული საქონლის გამოკლებით:

1. ძვირფასი ქვები, ოქროს და პლატინის ნაკეთობა.
2. ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობა (წვრილ-წვრილი იაფფასიანი და ადგილობრივი შინამრეწველობის წარმოების ნაკეთობის გამოკლებით).
3. საანტიკვარო ნივთები.
4. ოპტიური, ფოტოგრაფიული, ქირურგიული, ფიზიკური და სხვ. ხელსაწყო, საკერავი და საქსოვი მანქანები.
5. შაგრენი, შევრო, ძაღლის ტყავის სამოგვე, სანდალოზიანი და დატვიფრული ტყავი, მათი ნაკეთობა, სასარაჯო ნაკეთობა, ტყავის ჩექმები და ბაშმაკები, ნახმარი და საგლეხო ფეხსაცმლის (ჩუსტების) გარდა.
6. საკოსმეტიკო და საპარფიუმერო საგნები.
7. ბეწვეული და მისი ნაკეთობა, იხვისა და გედის ყუითუკი.
8. მზა-ტანისამოსი და საცვალი, ნახმარის გარდა.
9. ყოველგვარი მატერია და ქსოვილი, მათი ნაკეთობა, ნახმარი საგნებისა და შინანაქსოვი მატერიების გარდა.
10. გასტრონომიული და კოლონიალური საქონლის სპეციალური ვაჭრობა (სხვათა შორის—ჩაი და ყავა).
11. მაგარი სასმელები,

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბომბინი.**

1928 წ. სექტემბრის 3. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 208 №-ში 1928 წ. სექტემბრის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 65 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

195. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება:

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისიის შესახებ.

1. მომმზადებელი კომისია, მუდმივი კომისიის უფლებებით, არსებობს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან.

2. მომმზადებელი კომისიის მიზანს შეადგენს იმ საკითხების წინასწარი შემუშავება და განხილვა, რაც უნდა გადასწყვიტონ ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ (ერთად), ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ და უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, და აგრეთვე იმ საკითხებისა, რაც ა/კსფსრ მთავრობას აზრის გამოსათქმელად სსრკ მთავრობის ორგანოებისაგან გადაეცემა.

შენიშვნა. უკეთუ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული საკითხი არ საჭიროებს საკანონმდებლო წესით ჩამოყალიბებას, იგი მომმზადებელ კომისიას გადაეცემა განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის განსაკუთრებული განკარგულებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

3. მომმზადებელი კომისია შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და შვიდი წევრისაგან, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველისაგან.

4. მომმზადებელი კომისიის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო კომისიის წევრთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც, მათ შორის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

5. მომმზადებელ კომისიაში საქმის მოსმენისათვის მიწვეულ უნდა იქნეს დაინტერესებული უწყებისაგან მომხსენებელი. თვითეულ მომხსენებელს უნდა ჰქონდეს მანდატი, უწყების მეთაურის ან მისი მოადგილის თუ კოლეგიის ერთ-ერთი წევრის მიერ ხელმოწერილი უწყების მეთაურის უფლებამოსილებით.

უკეთუ აღნიშნული მომხსენებელი არ გამოცხადდა, საქმე შეიძლება მოსმენილ იქნეს მის დაუსწრებლადაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ყველა საკითხს მომმზადებელი კომისია გადასწყვეტს ხმის მარტივი უმეტესობით.

7. უკეთუ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წევრი, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, ა/კსფსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე, მომხმარებელი კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირის თავმჯდომარე და მომმზადებელი კომისიის წევრი თანახმა არ არის მომმზადებელი კომისიის მიერ მიღებული დადგენილებისა, მას შეუძლიან თვისი აზრი წერილობით წარადგინოს სამი დღის ვადაზე ოქმის ან ოქმის ამონაწერის მიღების დღიდან.

8. სამი დღის ვადის გასვლისას—მომმზადებელი კომისიის დადგენილება წარედგინება (ცალკე აზრითურთ, უკეთუ იგი შეტანილ იქნა მე-7 მუხ. წესისამებრ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეს გადასაწყვეტად და, მის მიერ ხელმოწერის შემდეგ, იგი მიიღებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან უმაღლესი ეკოხომიური საბჭოს—კუთვნილებსამებრ—დადგენილების ძალას.

უკეთუ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე, ცალკე აზრში აღნიშნული მოტივების ან სხვა რამ მოტივების გამო, არა სცნობს შესაძლებლად მომმზადებელი კომისიის დადგენილების დამტკიცებას, იგი ან გადასცემს საკითხს კომისიას ხელახალი განხილვისათვის და მისცემს სათანადო დირექტივებს, ან გადაიტანს საკითხს განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში თუ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლიან მომმზადებელი კომისიის დადგენილებების განხილვა და დამტკიცება მიანდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს.

9. მომმზადებელი კომისიის მიერ მიღებული დადგენილება განკარგულებითი ხასიათისა ისეთი საკითხის გამო, რაც გათვალისწინებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული ნუსხით, ძალაში შედის დაუყოვნებლივ, კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერისათანავე.

10. თავისი მიზნის განსახორციელებლად მომმზადებელ კომისიას უფლება აქვს დააკისროს უწყებას და ცალკე დაწესებულებას, მათ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობით, მის განსახილველად გადაცემული საკითხის დამატებით დამუშავება, საჭირო მასალებისა და ცნობების მომზადება და წარდგენა.

კომისიას აგრეთვე უფლება აქვს მოაწყოს ცალკე საკითხებისათვის დროებითი კომისიები უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

11. მომმზადებელი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ, განკარგულებითი ხასიათის ღონისძიებას მიიღებს ამ კომისიის თავმჯდომარე, რომლის განკარგულებაც სავალდებულოა როგორც წევრებისათვის, ისე ა/კსფსრ ყველა დაწესებულებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მომმზადებელი კომისიის განსახილველად წარდგენილი საქმეების წინასწარი დამუშავებისა და მოსასმენად მომზადებისათვის, სხდომების ოქმის წარმოებისათვის კომისია გამოიყენებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის აპარატს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბომბინი.**

1928 წლის აგვისტოს 23. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 211 №-ში 1928 წ. სექტემბრის 12-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

196. სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის მთავრობის მიერ 1928 წ. საშემოდგომო თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე გამოცემულ დადგენილებების განხორციელებისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ-ის ფარგლებში საშემოდგომო თესვის კამპანიის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებული საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

2. საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის დანიშნულ რწმუნებულს დაეკისროს საერთო მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის მთავრობის მიერ 1928 წ. საშემოდგომო თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ გამოცემულ დადგენილებების განხორციელებისათვის.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის დანიშნულ რწმუნებულს მიეცეს უფლება:

ა) მოსთხოვეს ხოლმე ა/კსფსრ ორგანოებსა და აგრეთვე რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს ცნობების წარდგენა მიღებულ ღონისძიებათა და საშემოდგომო თესვის კამპანიისა მსვლელობის შესახებ;

ბ) წინადადება მისცეს ხოლმე დაწესებულებათა, საწარმოთ და ორგანიზაციათ სასწრაფო წესით თავიდან აიცილონ საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარებისათვის მიღებულ ღონისძიებათა სფეროში შენიშნული ნაკლულოვანება, და მოითხოვოს იმ პირთა სისხლის სამართლისა და დისციპლინარული წესით პასუხისგებაში მიცემა, ვისი მიზეზითაც ეს ნაკლულოვანება მოხდა;

გ) ისეთ შემთხვევაში, რომლის გადადებაც შეუძლებელია, გადასწყვიტოს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები და ეს შემდგომ მოახსენოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

დ) მოაწყოს ხოლმე საშემოდგომო კამპანიის ჩატარებისათვის მიღებულ ღონისძიებათა გამოკვლევა, რისთვისაც იგი გამოიყენებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სსრ-ბის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს აპარატებს.

4. ა/კსფსრ-ის ფარგლებში საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულად დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ა. ნაზარეთიანი, ხოლო მის მოადგილედ—ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მდივანი ამხ. ი. თაღიევი.

ამიერკავასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. სექტემბრის 12. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 212 №-ში 1928 წ. სექტემბრის 13-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

197. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულების მე-4 მუხ. დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის 1928 წ. იანვრის 30 ს თარიღის დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-რი, მუხ. 24) მე-4 მუხლს დამატოს პუნქტი „ვ“ შემდეგი შინაარსისა:

„პუნ. „ვ“. უკეთუ ერთი ან ორივე მოდავე მხარე—სსრკ-ის დაწესებულების ცენტრალური ორგანოა ან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმო და თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც, უკეთუ, მხარეთა შეთანხმებით, დავა განსახილველად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას გადაეცა".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. სექტემბრის 3. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 213 №-ში 1928 წ. სექტემბრის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

198. კავკასიის წითელდროშიანი არმიის მანევრებში მონაწილე, „რადიოს მეგობართა" საზოგადოების წევრ-მუშათა და მოსამსახურეთა კომპენსაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

კავკასიის წითელდროშიანი არმიის მიერ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოწყობილ მანევრებში მონაწილე, „რადიოს მეგობართა" საზოგადოების წევრებს მუშათა და მოსამსსხურეთ შეენარჩუნოს სამსახურის ადგილი და საშუალო სამუშაო საშოვარი მიმდინარე წლის სექტემბრის 28-დან დაწყებული ხნის განმავლობაში, ვიდრე ოქტომბრის 6-დე—ამრიცხვითურთ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. სექტემბრის 21. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 219 №-ში 1928 წლის სექტემბრის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 66 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

199. **საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით კრედიტების დახურვის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მათ მიერ ან ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების მიერ გამორკვეული იქნება, რომ საერთო-ფედერატიულ და რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფ ამა თუ იმ დაწესებულებას 1927/28 წელში ოპერატიული საბიუჯეტო კრედიტებიდან, სპეციალური სახსარიდან და სხვა წყაროდან მოუხმარებია სახსარი საადმინისტაციო-საგამგებლო საჭიროებათათვის,—დახურონ ამ დაწესებულების კრედიტები 1927/28 წ. ბიუჯეტში იმ თანხების რაოდენობით, რაც ზემოაღნიშნული საჭიროებისათვის მოხმარებულ თანხებს უდრის.

ამასთანავე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, წლიური დანიშნულების მიხედვით, უწყებათა ოპერატიული (განსაკუთრებით სამშენებლო) ხარჯები ფაქტიური საჭიროების ფარგლებში 1928 წლის ოქტომბრის 1-დე, აგრეთვე საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების წლიური დანიშნულების სექტემბრის ნაწილი და თანაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ყოველი უწყების თავისებურება ხარჯთაღრიცხვის აღსრულების სფეროში, კერძოდ, წინა თვების გაუსტუმრებელი ხარჯი.

2. ის დავა, რაც შეიძლება აღიძრას ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესრულების დროს, საბოლოოდ გადაწყვეტილ უნდა იქნეს ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისრებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრებისა—კუთვნილებისამებრ—და დაინტერესებულ უწყებათა ხელმძღვანელებისაგან შემდგარი კომისიის მიერ.

3. დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სამმართველოების ხაზით:

ა) დაწვრილებით შეამოწმონ 1927/28 საბიუჯეტო წლის დამთავრების შემდეგ, რამდენად შეუსრულებიათ საერთო-ფედერატიულ და რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათ ა/კსფსრ მთავრობის დირექტივები 1927/28 წელს საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების შესახებ და ზედმიწევნით გამოარკვიონ ყოველი შემთხვევა, როდესაც 1927/28 წელში საადმინისტრაციო-საგამგებლო საჭიროებათათვის მოხმარებული ყოფილა ოპერატიული საბიუჯეტო კრედიტები, სპეციალური სახსარი და სხვა წყაროები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) პასუხისგებაში მისცენ ყველა ის პირი, რომელსაც არ შეუსრულებია ა/კსფსრ მთავრობის ზემოაღნიშნული დირექტივები.

4. დაეკისროს საერთო-ფედერატიულ და რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფი ყველა დაწესებულების ხელმძღვანელს პერსონალური პასუხისმგებლობა საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების თაობაზე ა/კსფსრ მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების ზედმიწევნით და სავსებით შესრულებისათვის.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათათვის.

6. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ა/კსფსრ სახალხო კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჭუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომ. საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **სოკოლსკი.**

1928 წ. სექტემბრის 21. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 220 №-ში 1928 წ. სექტემბრის 23-ს.

განმარტება № 6 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აგვისტოს 7.

200. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბ) და სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშარის ყრილობებსა, კონფერენციებსა და პლენუმებში მონაწილეობის მისაღებად არჩეული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სამუშაო საშოვარის შენარჩუნების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი ადგენს:

1. იმ მუშასა და მოსამსახურეს, რომელიც არჩეული იქნება დელეგატად სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) და სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ორგანოების მიერ მოწვეულ კომიტეტებისა და საკონტროლო კომისიების ყრილობასა, კონფერენციასა და პლენუმზე, უკეთუ ეს ყრილობა, კონფერენცია და პლენუმი მოწვეულია არა ნაკლებ, ვიდრე სამაზრო მასშტაბით, შეენარჩუნება საშუალო სამუშაო საშოვარი მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი თავის მოვალეობას შეასრულებს, რამდენადაც ასეთი მოვალეობის ასრულება სამუშაო დროს მოხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამა განმარტების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად ითვლება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წლის იანვრის 26-ს თარიღისა და მე-3 №-ის დადგენილება შრომის კანონთა კოდექსის 79 მუხ. შეფარდების წესის შესახებ (შრომის მომქმედი კანონმდ. 1926 წ. გვ. 220).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

საერთო-საორგანიზაციო განყოფ. გამგე **ათაბეკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 220 №-ში 1928 წ. სექტემბრის 23-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

201. **ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1928/29 წელს საბჭოთა არჩევნების წარმოებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ა/კსფსრ კონსტიტუციის მე-9 მუხ. თანახმად ამიერკავკასიის საბჭოთა მორიგი მე-5 ყრილობა მოწვეულ იქნეს (1929 წლის აპრილის 1-ლს) ქ. ტფილისში.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების მორიგი კამპანიის ჩასატარებლად წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) წინასწარი საარჩევნო-საანგარიშო კამპანია დაიწყონ 1928 წ. დეკემბრიდან;

ბ) საბჭოთა არჩევნები—1929 წლის თებერვლიდან;

გ) რესპუბლიკანური ყრილობები დაამთავრონ არა უგვიანეს მარტის 20-სა.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, არჩევნები ცალკე რაიონებში დაიწყონ ზემოაღნიშნულ ვადაზე ადრეც.

3. საბჭოების არჩევნების ჩატარებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევისათვის სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის დეკემბრის 5-ს თარიღის ინსტრუქცია „1928 წ. საბჭოების არჩევნების შესახებ", ყველა იმ დამატებითა და ცვლილებით, რაც მიღებულ იქნა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

აღნიშნული ინსტრუქციის შემდგომი ცვლილებანი, რაც გამოწვეული იქნება ადგილობრივი და ყოფა-ცხოვრებითი პირობების მიხედვით, შეტანილ უნდა იქნეს ინსტრუქციაში მხოლოდ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების მოწყობას და მიიღონ სათანადო ღონისძიებანი საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის მორიგი საარჩევნო კამპანიის ნორმალურად ჩატარებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. სექტემბრის 17. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 221 №-ში 1928 წ. სექტემბრის 25-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

202. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების ახალი რედაქციის შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს დებულების (კან. კრ. 1925 წ. მე-8 №-რი, მუხ. 74) 1-ლი მუხლის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შესახებ.

2. ამა დადგენილების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1926 წ. იანვრის 18 თებერვლის დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შესახებ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მაისის 23-ს თარიღის დადგენილება „ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების მე-2 მუხლის ახალი რედაქციის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შესახებ.

1. სოციალური დაზღვევის საქმის მოსაწესრიგებლად, სსრკ შრომის სახალხო კომისარტთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს დირექტივებისა და სსრკ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა, სახ. კ-თა საბჭოს და შრ. და თავდაც. საბჭოს „ვესტნიკ"-ის 1923 წ. მე-10 №-რი, მუხ. 299) მე-15 მუხლის წესისამებრ—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსდება ამერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო.

2. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, და 12 წევრი: სამი—ამერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან, თითო აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან, თითო—აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან, ერთი—ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან, ერთი—სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისაგან ა/კსფსრ-ში და ერთი—აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების საერთო წარმომადგენელი. საბჭოს წევრებს დანიშნავენ სათანადო დაწესებულებათა ხელმძღვანელნი, უკეთუ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს საწინააღმდეგო არა ექნება-რა დასახელებული კანდიდატების მიმართ.

შენიშვნა 1. წესი და რიგი თვითეული რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობისა საბჭოში ყველა მათი საერთო წარმომადგენლის სახით დამყარდება თვით რესპუბლიკანურ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთა შეთანხმებით.

შენიშვნა 2. იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების სამ წარმომადგენელთა შორის ერთ-ერთი მორიგე წევრად ითვლება საბჭოში, ორი დანარჩენი წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით.

3. თავმჯდომარისა და წევრების სამენაცვლეოდ, მათი სხვაგან სადმე წასვლისა ან ავადმყოფობის გამო, დაინიშნებიან, მე-2 მუხ. აღნიშნული წესისამებრ, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოს წევრთა მოადგილენი.

საბჭოს თავმჯდომარისა და წევრთა მოადგილეებს, როდესაც მათ, აპა მუხლის თანახმად, არა აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება, შეუძლიანთ დაეწრენენ საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმით.

4. ამერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) საერთო მიმართულება მისცეს სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მოქმედებას, ისე-კი, რომ არ ჩაერიოს მის ოპერატიულ საქმიანობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განიხილოს და დაამტკიცოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს მუშაობის საერთო გეგმა.

გ) თვალყური ადევნოს, რათა შეფარდებულ იქნეს საერთო საფუძვლები სამკურნალო დახმარებისა დაზღვეულთა და მათ ოჯახთათვის და გამოიყენოს სამკურნალო დახმარების ფონდი და აგრეთვე ექსპერტიზისა და კონტროლის ორგანოების მოქმედება;

დ) განიხილოს და დაამტკიცოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა;

ე) საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს დამტკიცებული გეგმების შესრულებას სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ და აგრეთვე განიხილოს მისი პერიოდული მოხსენებები და წლიური ანგარიშები;

ვ) განიხილოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და სხვა უწყებათა მიერ შემუშავებული ყველა კანონდებულების პროექტი სოციალური დაზღვევის სფეროში, რაც შეტანილ უნდა იქნეს ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებში და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოში, და მისცეს დასკვნა აღნიშნული პროექტების შესახებ;

ზ) განიხილოს და დაამტკიცოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ, მომქმედ კანონდებულებათა განსავითარებლად, შემუშავებული საერთო წესები და ინსტრუქციები, რომლებიც შეეხება დაქირავებით მომომუშავეთა ცალკე კატეგორიების ჩაბმას დაზღვევის საქმეში, სადასაზღვეო გადასახადების შეტანის წესს, მომქმედი ტარიფების შეფარდებას დამაზღვეველთა ცალკე ჯგუფებისათვის და სადასაზღვეო უზრუნველყოფის რაოდენობას;

თ) განიხილოს სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს დადგენილებათა პროექტები და მისცეს დასკვნა მათ შესახებ;

ი) განმარტოს ა/კსფსრ მომქმედი კანონდებულებანი სოციალური დაზღვევის შესახებ და გამოსცეს მათ განსავითარებლად განკარგულებანი და ინსტრუქციები;

კ) განიხილოს ა/კსფსრ უწყებათა მიერ შეტანილი საჩივრები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების გადაწყვეტილებებზე სოციალური დაზღვევის საკითხების გამო.

5. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომებს დანიშნავს მისი თავმჯდომარე სამ თვეში ერთხელ მაინც. იმ საქმეებს, რაც შეადგენს საბჭოს გამგებლობის საგანს, უწყებანი და საბჭოს წევრები შეიტანენ თავმჯდომარის მეშვეობით.

6. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომასა და სხდომას შუა პერიოდში, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს დადგენილებათა პროექტების განხილვისა და მათ შესახებ დასკვნის მიცემისათვის, მოეწყობა საბჭოს მუდმივი პრეზიდიუმი, რომელშიაც შევლენ: საბჭოს თავმჯდომარე და ოთხი წევრი: ორი — ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან, ერთი — ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისარიატისაგან და ერთი—აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სახალ-ხო მეურნეობის საბჭოების საერთო წარმომდგენელი მორიგეობის წესით.

საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები მოიწვევა საჭიროებისა და მიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

7. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომაზე შეიძლება მი-წვეულ იქნეს სათათბირო ხმის უფლებით მცოდნე პირი და დაინტერესებული უწყების წარმომადგენელი.

8. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც, თამჯდომა-რისა ან მისი მოადგილის ჩათვლით.

9. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოში საქმე გადასწყდება ხმის მარტივი უმეტესობით. საბჭოს ის დადგენილება, რომლის წინააღმდეგაც იმავე სხდომაზე რომელიმე წევრის მიერ განცხადებულია პროტესტი, საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაიტანება ა/კსფსრ შრომისს ახალხო კომისარიატის კოლე-გიაში. უკეთუ 7 დღის განმავლობაში ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგია არ გააუქმებს საბჭოს დადგენილებას, იგი ძალაში შედის. საბჭოს ის დადგენილება, რომლის გამოც აღნიშნული წესისამებრ პროტესტი განცხადე-ბული არ არის, დაუყოვნებლივ ძალაში შედის, ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის მიერ დაუმტკიცებლად.

10. ამიერკავკასის სოციალური დაზღვევის საბჭოს დადგეხილება და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენლება აღნიშნული დადგენილების გაუქმების შესახებ დაინტერესებულ უწყებას შეუძლიან განაპროტესტოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში; ამასთანავე, გაპროტესტება ვერ შეაჩერებს მიღე-ბული დადგენილების განხორციელებას.

11. საბჭოს საერთო წესები და ინსტრუქციები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ოფიციალურ ორგანოში და სოციალური დაზღვევის ყველა ორგანო მიიღებს მათ სახელმძღვანელოდ.

12. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს თავისი ტეხნიკური აპარატი არა ჰყავს და მას მომსახურეობას უწევს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს აპარატი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულ.
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. სექტემბრის 3. ტფილისი—სასახლე.

გამქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 221 №-ში 1928 წ. სექტემბრის 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

203. პერსონალური პენსიის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. პერსონალური პენსია დაენიშნება ისეთ პირს, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის რევოლიუციონურ, სახელმწიფოებრივ, სამეურნეო ან კულტურულ მოღვაწეობაში, ან სსრკ დაცვის საქმეში, ხოლო ასეთი პირის სიკვდილის შემდეგ—პენსია დაენიშნება მისი ოჯახის წევრებს.

2. პერსონალურ პენსიას, საერთო წესისამებრ, დანიშნავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემვალი რესპუბლიკის ორგანო იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ პენსიით, იმ საფუძველზე და იმ წესით, რაც განსაზღვრულია სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით. პერსონალური პენსია იმ პირს, რომელზედაც ვრცელდება 1926 წ. მარტის 19-ს თარიღის დებულება—მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრის მეუფროსეთა შედგენილობის სახელმწიფოებრივად უზრუნველყოფის შესახებ,—დაენიშნება აღნიშნული დებულების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 124) მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

3. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეხედულებისამებრ, როგორც გამონაკლისი, პერსონალური პენსია შეიძლება დაინიშნოს მისი დადგენილებით ამა დადგენილების 4-10 მუხ. თანახმად.

4. იმ პენსიის რაოდენობა, რასაც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დაუნიშნავს განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირს, განისაზღვრება თვითეულ ცალკე შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ რამდენად დაუკარგავს ამ პირს შრომის უნარი, რამდენი პირი იმყოფება მის რჩენაზე და აგრეთვე რა ჩვეულებრივი შრომის საშოვარი ჰქონდა მას შრომის უნარის დაკარგვამდე. ამასთანავე, საერთო წესისამებრ, პერსონალური პენსია არ უნდა აღემატებოდეს იმ ადგილის პასუხისმგებელ პოლიტიკურ მომუშავეთა ტარიფის თვენახევრის ძირითად უმაღლეს განაკვეთს, სადაც აღნიშნული პირი სცხოვრობს პენსიის დანიშვნის მომენტში.

5. იმ პენსიის რაოდენობა, რასაც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დაუნიშნავს განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირის სიკვდილის გამო მისი ოჯახის წევრებს, განისაზღვრება თვითეულ ცალკე შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ რამდენი პირი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და რაში გამოიხატება ოჯახის ჩვეულებრივი ბიუჯეტი მისი მრჩენელის სიკვდილის მომენტში. ამასთანავე პერსონალური პენსია ოჯახის ყველა უზრუნველსაყოფი წევრისათვის ერთად, საერთო წესისამებრ, არ უნდა აღემატებოდეს მე-4 მუხ. აღნიშნულ რაოდენობას.

6. პენსია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ პენსიის დანიშვნის შესახებ მიღებულ დადგენილებაში დასახელებულ პირთ პერსონალური პენსია მიეცემათ შემდეგ საფუძველზე:

ა) შრომის უნარმოკლებულ პირს—სიკვდილამდე;

ბ) არასრულწლოვანს—18 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო სასწავლებელში მოსწავლეს—ტეხნიკუმისა თუ უმაღლესი სასწავლებლის გათავებამდე, მაგრამ არა უხანგრძლივეს, ვიდრე 25 წლის ასაკის მიღწევამდე;

გ) დანარჩენ პირთ—თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებისა თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

7. უკეთუ პენსიონერის შრომის საშოვარი, მისთვის დანიშნული პერსონალური პენსიითურთ, აღემატება მე-4 მუხ. აღნიშიულ მაქსიმალურ რაოდენობას, პერსონალური პენსია მიეცემა მას სათანადოდ შემცირებული რაოდენობით, თუ ვინიცობაა სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში პენსიის დანიშვნის შესახებ.

8. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული პენსიების გაცემით გამოწვეული ხარჯი მიეკუთვნება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვას.

9. უკეთუ პერსონალური პენსია მიეცა იმ პირს, რომელსაც აქვს სოციალური დაზღვევის წესით პენსიის მიღების უფლება, სოციალური დაზღვევის ორგანო შეიტანს ხაზინის შემოსავალში ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ბიუჯეტით ისეთ თანხას, რაც უდრის ნორმალური სადასაზღვეო უზრუნველყოფის რაოდენობას.

10. ის პირი, რომელსაც პერსონალური პენსია ეძლეება, სახელმწიფოსაგან, პერსონალური პენსიის გარდა, სხვა ვერაფერს ვერ მიიღებს უზრუნველსაყოფად. უკეთუ იგი უზრუნველყოფილ იქნა ნატურით, ამ უზრუნველყოფის ღირებულება გამოირიცხება პერსონალური პენსიის თანხიდან, სამკურნალო დახმარების გარდა.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. სექტემბრის 3. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 222 №-ში 1928 წ. სექტემბრის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 64 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

204. **ა/კსფსრ-ის კოოპერაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული ასიგნვების დასაბრუნებელ და დაუბრუნებელ ასიგნვებად განაწილების წესების დამტკიცებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ცალკე რესპუბლიკებისათვის დასაბრუნებელი ასიგნვების გადაცემის ტეხნიკური წესის დამყარების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისარ. საბჭ. საქმ. მმართ. თან. დრ. აღმ. **ა. ბომბინი.**

1928 წ. აგვისტოს 23. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 223 №-ში 1928 წ. სექტემბრის 27-ს.

წ ე ს ე ბ ი

ა/კსფსრ-ის კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის მისაცემად 1927 წ. ოქტომბრის 1-დე სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული ასიგნვების დასაბრუნებელ და დაუბრუნებელ ასიგნვებად განაწილებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ცალკე რესპუბლიკებისათვის დასაბრუნებელი ასიგნვების თანხების გადაცემის ტეხნიკური წესის დამყარების შესახებ.

1. ა/კსფსრ კოოპერაციისათვის ხანგრძლივი კრედიტის მისაცემად 1927 წ. ოქტომბრის 1-დე გადადებულ სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნვებიდან დაუბრუნებელ ასიგნვებს უნდა მიეკუთვნოს:

ა) სესხი, რაც ირიცხებოდა ისეთ ლიკვიდაციაქმნილ კოოპერატიულ ორგანიზაციაზე, რომელსაც არ დაუტოვებია თავის შემდეგ უფლების მენაცვლე და ქონებრივი მასსა, რაც შეიძლება მიქცეულ იქნეს ამ სესხით დავალიანების დასაფარავად;

ბ) სესხი, რომლის ჩამოწერაც გათვალისწინებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უკვე გამოცემული დადგენილებით;

გ) სესხი, რომლის დანიშნულებასაც შეადგენდა კოოპერატიული ორგანიზაციების ზარალის დაფარვა მათ მიერ სახელმწიფოს დავალებათა შესრულების სფეროში.

2. სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნვებიდან დასაბრუნებელ ასიგნვებს უნდა მიეკუთვნოს:

ა) ყველა სესხი 1927 წ. ოქტომბრის 1-დე გადადებულ სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნვებიდან, რამდენადაც იგი მიკუთვნებულ არ იქნება ამა წესების 1-ლი მუხ. მიხედვით ჩამოსაწერ სესხთა კატეგორიისათვის;

ბ) ის სახსარი 1927 წ. ოქტომბრის 1-დე გადადებულ სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნვებიდან, რაც გრძელვადიანი სესხის სახით კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის მიუცემელი დარჩა და ირიცხება სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის რესპუბლიკანურ განყოფილებებში იმ დროისათვის, როდესაც, ამა მუხლის ლიტ. „ა“ მიხედვით, გამორკვეული უნდა იყოს ასიგნვათა თანხა.

3. დასაბრუნებელ ასიგნვათა ზედმიწევნითი რაოდენობის განსაზღვრა, ამა წესების მე-2 მუხ. მიხედვით, დაეკისრება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან, ყოველი სახის კოოპერაციის ამერკავკასიის კოოპერატიულ ცენტრებთან და სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილებასთან ერთად.

4. აღნიშნული რაოდენობის გამორკვევისა და ამის შესახებ აქტის შედგენისთანავე, რასაც ხელს მოაწერენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილება, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი აცნობებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, ხოლო სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილება—ბანკის განყოფილებებს აზერბაიჯანსა და სომხეთში, კოოპერაციისათვის გადადებულ დასაბრუნებელ ასიგნვათა საერთო თანხას, რაც უწყებულ რესპუბლიკაზე მოდის და რაც, „ა/კსფსრ კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების დებულების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-10 №-რი, მუხ. 113) თანახმად, შეადგენს სათანადო რესპუბლიკის კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის საერთო ფონდის ძირითად საფუძველს.

5. მე-4 მუხლის მიხედვით შეტყობინებული ციფრების თანახმად, რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატები, „კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების დებულების“ მე-8 მუხლთან შეფარდებით, დასდებენ სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილებებთან აზერბაიჯანში, სომხეთში და საქართველოში ხელშეკრულებებს აღნიშნული სახსარის გრძელვადიანი კრედიტის საერთო ფონდებში გადაცემის თაობაზე, თანაც, „კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების დებულების“ საფუძველზე, დაწვრილებით დაადგენენ როგორც საერთო ფონდის თანხების გადაცემის პირობებს, ისე საერთო ფონდის თანხების გამოყენების წესს.

6. უწყებული რესპუბლიკის ხვედრი დასაბრუნებელი ასიგნვების რაოდენობის შეტყობინებასთან ერთად, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილება, რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატებისათვის და სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილებებისათვის (კუთვნილებისამებრ) ცნობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნის დროს (მუხ. 4) გამოარკვევენ, მე-3 და 4 მუხ. წესისამებრ, სათანადო აქტში აღნიშვნით (მუხ. 4), აგრეთვე საერთო ფონდების მეორე შემადგენელ (გადახდილ) ნაწილს, რაც 1926 წ. ოქტომბრის 1-დან შესულა სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის რესპუბლიკანურ განყოფილებებში წინა წლების ბიუჯეტებით საბიუჯეტო ასიგნვებიდან გაცემული სესხის ანგარიშში.

7. მთელი იმ ვადის განმავლობაში, რაც კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის საერთო ფონდის სახსარის გამოყენება გაგრძელდება, ფინანსთა სახალხო კომისარიატები აწარმოებენ აღნიშნული ფონდიდან გაცემულ სესხთა მოძრაობისა და აგრეთვე ამ სესხთა ანგარიშით შემოსული თანხების აღნუსხვას.

8. ამიერკავკასიის (ფედერატიული) კოოპერატიული ორგანიზაციების მიმართ სათანადო დასაბრუნებელი ასიგნვების (მე-2 და 3 მუხ. მიხედვით) აღნუსხვის წარმოება დარჩება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში და რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში იგი გადავა ამ ფონდების ყოველწლიური განასიგნვის წესით, უკეთუ ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებებით („გრძელვადიანი კრედიტის ფონდების დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 შენიშვნა) ეს ფონდები მიიკცევა რესპუბლიკანური კოოპერაციის ფინანსიურად მოგვარებისათვის.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

205. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარების შესახებ.

1. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის გადადებული ასიგნვები განაწილდება დასაბრუნებელ და დაუბრუნებელ ასიგნვებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვებში შეიტანება მხოლოდ დაუბრუნებელი ასიგნები სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის.

3. იმ ასიგნებიდან, რაც სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის კრედიტების სახით ბიუჯეტში შეიტანება, დაუბრუნებელ ასიგნებს მიუკუთვნება:

ა) ასიგნება კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო სასოფლ-სამეურნეო საწარმოთა საწესდობო კაპიტალებისათვის;

ბ) ასიგნება ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და სას.-სამეურნეო კრედიტის საზოგადოების (რესპუბლიკანური სას.-სამ. ბანკები) ძირითადი კაპიტალებისათვის;

გ) ასიგნება დიდი მასშტაბის საირიგაციო, სამელიორაციო და სხვ. ღონისძიებათათვის;

დ) ასიგნება სხვა ღონისძიებათათვის, ა/კსფსრ მთავრობის დადგენილებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

4. სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის გადადებული დასაბრუნებელი ასიგნება გაიცემა ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ღონისძიებისათვის სესხის გასაცემად იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსიურად მოხაგვარებელი ღონისძიება საჭიროებს განსაკუთრებულ პირობებს ვადებისა, საპროცენტო განაკვეთისა და კრედიტის მიცემის წესისათვის. დანარჩენ შემთხვევაში სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის გაცემა განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ანგარიშით, აგრეთვე სხვა საკრედიტო დაწესებულებათა ანგარიშით, რომელნიც სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებას აწარმოებენ.

5. ყველა დასაბრუნებელი ასიგნება გადაეცემა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს: ან მასთან დაარსებული ფონდებისათვის, ან სპეციალური დანიშნულების სახსარის სახით.

6. ფონდების შექმნისა, გამოყენებისა და ლიკვიდაციის წესი განისაზღვრება ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული დებულებით სათანადო ფონდის შესახებ.

7. ბიუჯეტით ფონდებში გადადებულ ასიგნებს, მთელი იმ ვადის განმავლობაში, რაც ფონდები იარსებებს, ბანკები წარმართავენ ფონდის დანიშნულებით განსაზღვრულ ღონისძიებებათათვის კრედიტის გასაცემად და ეს ასიგნები ხაზინაში შევა მხოლოდ ლიკვიდაციის დროს; ამასთანავე, საკითხს ხაზინის წინაშე ბანკების პასუხისმგებლობის განსაზღვრის თაობაზე გადასწყვეტს ა/კსფსრ მთავრობა ამა თუ იმ ფონდის დაარსების დროს. ამავე წესისამებრ გადასწყდება საკითხი ამ ფონდებიდან გაცემულ სესხთა საპროცენტო განაკვეთის რაოდენობის შესახებ.

8. მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ფონდებს ეკუთვნის:

ა) გოლვასთან ბრძოლის ფონდი;

ბ) სოფლის უღარიბესი ნაწილისათვის მისაცემი კრედიტის ფონდი.

გ) კოლექტიურ მეურნეობათათვის მისაცემი კრედიტის ფონდი.

9. სპეციალური დანიშნულების სახსარი გადაეცემა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს სასოლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სას.-სამ. ბანკებისათვის) გადასაცემად იმ მიზნით, რომ გაცემულ იქნეს სესხი ამა თუ იმ განსაზღვრული ღონისძიებისათვის ა/კსფსრ მთავრობის დავალების შესრულების წესით; ეს სახსარი დაებრუნება ხაზინას ა/კ. სას.-სამ. ბანკის მიერ გაცემულ სესხთა დაფარვისადაკვალად.

10. სპეციალური დანიშნულების სახსარის გამოყენების წესი დამყარდება განსაკუთრებული ხელშეკრულებებით ერთის მხრით—ხაზინასა, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახით, და მეორეს მხრით—ამიერკავკასიის სასოფ.-სამეურნეო ბანკს შორის.

11. სპეციალური დანიშნულების სახსარად ითვლება:

ა) ასიგნვა გადასახლებულთათვის სესხის მისაცემად;

ბ) ასიგნვა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა და მათ კავშირთათვის სესხის მისაცემად ძირითადი კაპიტალებისათვის.

12. მე-8 და 11 მუხლებში აღნიშნული ფონდებისა და სპეციალური დანიშნულების სახსარის გარდა, ა/კსფსრ მთავრობის დადგენილებით, შეიძლება დაარსებულ იქნეს აგრეთვე სხვა ფონდი და სპეციალური დანიშნულების სახსარი.

ა/კსფსრ მთავრობის მიერ ფონდებისა და სპეციალური დანიშნულების სახსარის დაარსება, ამ ფონდებში და სახსარში ასიგნვების გადადება და მათი გამოყენების წესი შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებათა საერთო გეგმებთან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**

1928 წ. სექტემბრის 3. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 224 №-ში 1928 წ. სექტემბრის 28-ს.

დადგენილება № 132 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წლის სექტემბრის 19.

206. ცეცხლის შემკეთებელთა სავალდებულო სწავლების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ.

სექტემბრის 4-ს თარიღისა და 512 №-ის დადგენილება „ცეცხლის შემკეთებელთა სავალდებულო სწავლების შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახ. კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი
და შრომის დაცვის განყოფ. გამგე **შახსუვარიანი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგ. განყ. გამგე **ათაბეკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 224 №-ში 1928 წ. სექტემბრის 28-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

207. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ივლისის 24. ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის შესახებ.

1. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია მოეწყობა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის თავმჯდომარეობით და ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიატისა, ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ამიერკავკასიის კოოპერაციის ორგანოებისა, ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ, ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდის კომისიისა, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიების თითო წარმომადგენლისა, პასუხისმგებელი მდივნისა და პერსონალურად მოწვეულ პირთა შედგენილობით.

შენიშვნა. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიას უფლება აქვს, თვითეულ ცალკე შემთხვევაში, მიიწვიოს სათათბირო ხმის უფლებით სათანადო დაწესებულებისა და საწარმოს წარმომადგენელი და აგრეთვე მცოდნე პირი.

2. კომისიას დაეკისრება:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიების მთელ მუშაობას;

ბ) შეასრულოს ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის სპეციალური დავალებანი მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხების სფეროში;

გ) ხელი შეუწყოს ქალთა შესახებ არსებულ კანონმდებლობის განხორციელებას ა/კსფსრ ტერიტორიაზე (საყოფაცხოვრებო დანაშაულთა შესახებ, ოჯახისა და ქორწინების სამართლის შესახებ და ქონებრივი და საადგილმამულო უფლების შესახებ);

დ) იქონიოს ინიციატივა, რათა რესპუბლიკანურმა კომისიებმა აღძრან, არსებული წესისამებრ, შუამდგომლობანი „გ“ პუნ. აღნიშნული მიზნით და მიიღოს კულტურულ-განმანათლებელი და ეკონომიური ღონისძიებანი ქალთა დამონავებისაგან განთავისუფლებისათვის;

ე) შეიმუშაოს და წარადგინოს, არსებული წესისამებრ, სათანადო ცენტრალურ ორგანოებში ქალთა ეკონომიური და უფლებრივი უთანასწორობის აღმოფხვრისათვის მიმართული საკანონმდებლო განზრახულებანი, და მისცეს დასკვნა ცენტრალური ორგანოების მიერ გადაცემული პროექტების გამო, რაც მშრომელ ქალთა ინტერესების დაცვას შეეხება;

ვ) მისცეს დასკვნა ა/კსფსრ ცენტრალური ორგანოების ყოველგვარი ღონისძიების გამო, რაც დაკავშირებულ იქნება მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებასთან და ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობასთან;

ზ) ხელი შეუწყოს ქალთა შესახებ არსებულ კანონმდებლობის პოპულიარიზაციას მცხოვრებთა მასებში, განახორციელოს სათანადო გამოკვლევანი და ხელი შეუწყოს ქალთათვის უფლებრივ სფეროში დახმარების ორგანიზაციას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ხელი შეუწყოს დედობისა და ჩვილობის დაცვისათვის წარმოებულ მუშაობას, სკოლამდე აღზრდის საქმეს და კულტურულად ჩამორჩენილ რაიონებში ქალთა შორის სასანიტარო-საგგიენო ცოდნის გავრცელებას;

ი) შეათანხმოს და გააერთიანოს მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი რესპუბლიკანური კომისიების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებანი დამონავებისაგან ქალთა სრულიად განთავისუფლებისათვის, როგორიც არის: უმუშევრობისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ ძრძოლის ღონისძიებათა შემუშავება, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა (როგორც დამოუკიდებლად, ისე სათანადო სამეცნიერო დაწესებულებისა და ორგანიზაციის მეშვეობით) განსაკუთრებით კულტურულად ჩამორჩენილ რაიონებში;

კ) გაუწიოს საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული კომისიების მიერ მშრომელ ქალთა ინტერესების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა განხორციელებას, როგორიც არის: მათი წარმოებაში და სახელმწიფო აპარატში ჩაბმა, მათი კოოპერატიულად მოწყობა და მათი შრომის შემამსუბუქებელ ღონისძიებათა და აგრეთვე მათი კულტურული დონის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება (სკოლაში ჩაბმა, კულტურულ ძალთა მომზადება, მათთვის პოლიტიკური განთლების სისტემის მეშვეობით მომსახურების გაწევა და სხვ.);

ლ) იზრუნოს, რათა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულმა მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელმა კომისიებმა უზრუნველჰყონ ნაციონალურ უმცირესობათა მშრომელი ქალების ინტერესები.

3. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია ანგარიშვალდებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

4. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია მიიღებს მისთვის საჭირო მასალებს სათანადო სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან და მოისმენს მათ მოხსენებებს, რაც ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას ეხება; მოიწვევს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ნებართვით, რესპუბლიკანური კომისიების თათბირებს და სხვა თათბირებს მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხების გამო.

5. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიისათვის საჭირო სახსარი, რაც დაკავშირებულია მშრომელ ქალთა კულტურულ, საყოფაცხოვრებო და ეკონომიურ საჭიროებათა მომსახურეობასთან,—გათვალისწინებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის შესანახად საჭირო ხარჯი მიეკუთვნება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯთაღრიცხვას.

7. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიას მომსახურეობას გაუწევს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ტეხნიკური აპარატი. კომისიას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 225 №-ში 1928 წ. სექტემბრის 29-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 2004. დაიბეჭდა 1.000.